დამტკიცებულია
ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის
რექტორის 2026 წლის 8 ივნისის 03/29 ბრძანებით

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიაში პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

2026

თავი I. მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სკოლა-გიმნაზია არის ადგილი, სადაც რეალიზდება ბავშვის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება - განათლების უფლება. მხოლოდ სკოლა-გიმნაზიის მოსწავლის სტატუსის მოპოვება არ არის საკმარისი ამ უფლების დასაცავად. სკოლა-გიმნაზია ვალდებულია ყოველდღიურად იზრუნოს თითოეული ბავშვის უფლებების დაცვაზე.
2. სკოლა-გიმნაზიაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების: მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების (შემდგომში „მშობლის“), სკოლა-გიმნაზიის ყველა პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა. ამ მიზნით:
    - 2.1. სკოლა-გიმნაზიას აქვს შინაგანაწესი;
    - 2.2. სკოლა-გიმნაზიას ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი;
    - 2.3. სკოლა-გიმნაზიას ჰყავს სამედიცინო პერსონალი;
    - 2.4. თითოეულ კლასს ჰყავს კლასის ხელმძღვანელი;
    - 2.5. სკოლა-გიმნაზიას აქვს სასწავლო გეგმა;
    - 2.6. სკოლა-გიმნაზიას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.
3. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს უფლება აქვს ჰქონდეს უსაფრთხო გარემო.

4. საკითხები რომლებიც არ არის მოწესრიგებულია აღნიშნული დოკუმენტით, მოწესრიგებულია სკოლა-გიმნაზიის შიდა რეგულირების დოკუმენტებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 2. მოსწავლის მშობლის კანონიერი უფლებები

1. ინფორმაცია მოსწავლის მშობლის უფლებების შესახებ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა-გიმნაზიის დირექციის ან კლასის ხელმძღვანელის მიერ ეცნობება ყველა მშობელს.
2. თითოეული მოსწავლის მშობელთან სკოლა-გიმნაზია აფორმებს საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები.

მუხლი 3. სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესი

1. თითოეული მოსწავლის მშობელი ვალდებულია იცნობდეს შინაგანაწესს, რომელიც განთავსებულია სკოლა-გიმნაზიის ვებ-გვერდსა და სკოლა-გიმნაზიის შენობაში საინფორმაციო დაფაზე.
2. შინაგანაწესში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანამდე არანაკლებ 7 დღით ადრე, ცვლილების/დამატების პროექტი, მისი გაცნობის, შენიშვნებისა და წინადადებების წარმოდგენის მიზნით, ეგზავნება ყველა დასაქმებულს.
3. კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლესა ან/და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სასწავლო წლის დაწყებისას, ხოლო შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილება - მისი დამტკიცებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.
4. თოთოეული მოსწავლის მშობელს უფლება აქვს:
    - 4.1. თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა;
    - 4.2. დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან;
    - 4.3. არ გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი ეთნიკური, რელიგიური, გენდერული იდენტობის შესახებ;

4.4. ფლობდეს ინფორმაციას სკოლა-გიმნაზიის მიერ მოსწავლის შესახებ რომელი მონაცემები მუშავდება, მონაცემების დამუშავების მიზანი და სამართლებრივი საფუძველი, რა გზით შეგროვდა მონაცემები, ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები გაცემის საფუძვლისა და მიზნის მითითებით;

4.5. სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელ დირექტორთან წარადგინოს საჩივარი/მოთხოვნა სკოლა-გიმნაზიის პერსონალის ან სხვა მოსწავლის ან სხვა მოსწავლის მშობლის მხრიდან თავისი შვილის უფლებების დარღვევის გამო და მოითხოვოს უფლებების დაცვა;

4.6. სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორის მხრიდან თავისი უფლებების დარღვევის გამო მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება;

4.7. მოითხოვოს სკოლა-გიმნაზიის შენობაში შესვლა სკოლა-გიმნაზიის მიერ წინასწარ განსაზღვრულ დროს, ან განსხვავებულ პერიოდში სკოლა-გიმნაზიის დირექციასთან შეთანხმებით;

4.8. მოითხოვოს ინდივიდუალური შეხვედრა მასწავლებელთან, სკოლა-გიმნაზიის დირექციის წარმომადგენელთან, სკოლა-გიმნაზიის მოძღვართან, სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგთან, სკოლა-გიმნაზიის მედპერსონალთან, სკოლა-გიმნაზიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან;

4.9. ფლობდეს ინფორმაციას მოსწავლის მიმართ გამოყენებული დისციპლინური ზომების შესახებ.

მუხლი 4. სასკოლო სასწავლო გეგმა

1. ყველა მშობელს აქვს უფლება იცნობდეს სასკოლო სასწავლო გეგმას. სასკოლო სასწავლო გეგმა განთავსებულია სკოლა-გიმნაზიის ვებგვერდზე .
2. სასკოლო სასწავლო გეგმას ყოველწლიურად შეიმუშავებს სკოლა-გიმნაზია ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით.
3. სასკოლო სასწავლო გეგმის ფარგლებში მშობელს უფლება აქვს:
   - 3.1. დააფიქსიროს პოზიცია (დაეთანხმოს ან უარი განაცხადოს), სკოლა-გიმნაზიის მიერ შეთავაზებული უცხოური ენებიდან რომელი უცხოური ენის სწავლებას ისურვებდა მეხუთე კლასიდან.
   - 3.2. დააფიქსიროს პოზიცია ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული დამატებითი საგანმანათლებლო ან სააღმზრდელო მომსახურების მიღების შესახებ;
   - 3.3. მოითხოვოს სემესტრული გამოცდა სემესტრული ნიშნის ამაღლების მიზნით პირველი სემესტრის შეფასების შემთხვევაში - მეორე სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის შემთხვევაში - სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში;
   - 3.4. საშემოდგომო გამოცდის დაძლევის მიზნით მოითხოვოს კონსულტაცია შესაბამის საგანში;
   - 3.5. მოითხოვოს მასწავლებლის კონსულტაცია კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში;
   - 3.6. კანონმდებლობით დადგენილი ფორმით შინ სწავლებაზე გადასვლის შემთხვევაში მოითხოვოს შინ სწავლება მისთვის მისაღები ფორმით: პირისპირ ან დისტანციურად;
   - 3.7. მიიღოს მონაწილეობა სკოლა-გიმნაზიის მიერ ორგანიზებულ არაფორმალურ აქტივობებში.

მუხლი 5. სხვა უფლებები

1. თოთოეულ მშობელს უფლება აქვს:
   - 1.1. საჭიროების შემთხვევაში მიმართოს სკოლა-გიმნაზიის მოძღვარს, რექტორს, აღმასრულებელ დირექტორს, დირექციას, კლასის ხელმძღვანელს და მასწავლებელს;
   - 1.2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში, სკოლა-გიმნაზიიდან მიმართოს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერ ცენტრს (სამმართველო);
   - 1.3. სკოლა-გიმნაზიის მიერ მისი ან მისი შვილის უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. მშობელს არ აქვს უფლება უგულებელყოს მოსწავლის საბაზისო საჭიროებები.

მუხლი 6. სკოლა-გიმნაზიაში მშობლის მიერ სკოლა-გიმნაზიის მხრიდან კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრება

მოსწავლის ან მოსწავლის მშობლის კანონიერი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მშობელს შეუძლია იხელმძღვანელოს სკოლა-გიმნაზიის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურით.

თავი II. სკოლა-გიმნაზიის პერსონალის კანონიერი უფლებები

მუხლი 7. დასაქმებულის შრომითი უფლება

1. სკოლა-გიმნაზიაში დასაქმებული თითოეული პირის შრომითი უფლებები დაცულია საქართველოს კანონმდებლობით.
2. დასაქმებულს უფლება აქვს:
   - 2.1. მოითხოვოს უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა;
   ისარგებლოს კუთვნილი შვებულებით;
   - 2.2. მიიღოს დროებით შრომისუუნარობის გამო კანონმდებლობით დადგენილი დახმარება;
   - 2.3. მოითხოვოს შრომის ანაზღაურების დროულად და სრულად გადახდა;
   - 2.4. შეწყვიტოს შრომის ხელშეკრულება ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადაში.

მუხლი 8. სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესი

1. სკოლა-გიმნაზიაში დასაქმებული ყველა პირი ვალდებულია იცნობდეს შინაგანაწესს, ასევე შინაგანაწესში შეტანილ ცვლილებებს ცვლილების შეტანიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.
2. თოთოეულ დასაქმებულს უფლება აქვს:
3. იცნობდეს სკოლა-გიმნაზიის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმას;
   - 3.1. სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელ დირექტორთან წარადგინოს საჩივარი/მოთხოვნა სკოლა-გიმნაზიის სხვა პერსონალის ან რომელიმე მოსწავლის ან რომელიმე მოსწავლის მშობლის მხრიდან თავისი უფლებების დარღვევის გამო;
   - 3.2. დისციპლინური დევნისას ისარგებლოს დუმილის უფლებით, რაც არ ათავისუფლებს მას დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან;
   - 3.3. თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი სკოლა-გიმნაზიაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით;
   - 3.4. ფლობდეს ინფორმაციას მის შესახებ რომელი პერსონალური მონაცემი მუშავდება, მონაცემების დამუშავების მიზანი და სამართლებრივი საფუძველი, რა გზით შეგროვდა მონაცემები, ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები გაცემის საფუძვლისა და მიზნის მითითებით;
   - 3.5. არ გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის შესახებ თუ ეს საფრთხეს არ უქმნის სხვათა უფლებას და საზოგადოებრივ ჯანდაცვას;
   - 3.6. შეუზღუდავად ისარგებლოს სკოლა-გიმნაზიის სივრცეებით: სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა და ა.შ.;
   - 3.7. თავისუფლად შეიკრიბონ სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე კანონით დადგენილი წესით სკოლა-გიმნაზიის წინასწარი შეტყობინების საფუძველზე;
   - 3.8. ფლობდეს ინფორმაციას სკოლა-გიმნაზიის ბიუჯეტისა და წლიური სამოქმედო გეგმის შესახებ.

მუხლი 9. სკოლა-გიმნაზიის სასწავლო გეგმა

1. სკოლა-გიმნაზიის ყველა პერსონალს აქვს უფლება იცნობდეს სასწავლო გეგმას, რომელიც განთავსებულია სკოლა-გიმნაზიის ვებგვერდზე. გამონაკლისს წარმოადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლის გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს.
2. მასწავლებელს უფლება აქვს:
   2.1. ობიექტური მიზეზების გამო უარი თქვას მოსწავლის შინ სწავლებაზე პირისპირ მეთოდით;
   2.2. მიმართოს სკოლა-გიმნაზიის დირექციას შესაბამისი სასწავლო რესურსების (თვალსაჩინოება, დამატებითი სახელმძღვანელო, მეთოდური რესურსი) შეძენის მოთხოვნით;

მუხლი 10. სკოლა-გიმნაზიაში პერსონალის მიერ სკოლა-გიმნაზიის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრება

პერსონალის კანონიერი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მას შეუძლია იხელმძღვანელოს სკოლა-გიმნაზიის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურით.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

1. პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმებს ბრძანებით ამტკიცებს სკოლა-გიმნაზიის რექტორი.
2. წინამდებარე დოკუმენტში ნებისმიერი ცვლილებისა და დამატების განხორციელება ხდება რექტორის ბრძანებით.